

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს უნწყებათაშორისი სამოქმედო გეგმის 2017-2018 წლების შესრულების ანგარიში

შესავალი

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივითა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციისა და ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის პროგრამის მხარდაჭერითა და ფართო საზოგადოების ჩართულობით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ (შემდგომში საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო), 2015-2016 წლებში შეიმუშავა კულტურის გრძელვადიანი განვითარების დოკუმენტი "კულტურის სტრატეგია 2025", რომელიც 2016 წლის 1 ივლისს დამტკიცდა საქართველოს მთავრობის მიერ (მთავრობის დადგენილება N 303).

პირველად საქართველოს ისტორიაში შეიქმნა დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს ხედვას, მიზნებსა და ამოცანებს, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს კულტურის სხვადასხვა დარგის წინაშე არსებული პრობლემებისა და გამოწვევების ეტაპობრივად გადაჭრას.

დოკუმენტის დამტკიცების შემდეგ, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სტრატეგიული დაგეგმვისა და მონიტორინგის სამსახურის კოორდინაციით მომზადდა „კულტურის სტრატეგიის უწყებათაშორისი სამოქმედო გეგმა 2017-2018“, რომელიც მთავრობის მიერ დამტკიცდა (საქართველოს მთავრობის განკარგულება N189, 2017 წლის 7 თებერვალი).

უნწყებათაშორისი სამოქმედო გეგმის შემუშავებაში ჩართული იყო უწყებათაშორისი კომისია, რომელიც კულტურის სტრატეგიის შემუშავების პროცესში შეიქმნა და სამუშაო ჯგუფი (41 წევრი), რომელიც მოიცავდა ყველა სამთავრობო სტრუქტურას, აგრეთვე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციას, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს, აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს.

„კულტურის სტრატეგიის უწყებათაშორისი სამოქმედო გეგმაში 2017-2018“ განერილია შესაბამისი ამოცანები, აქტივობები, მათი შესრულების ინდიკატორები, პასუხისმგებელი უწყებები, პარტნიორი ორგანიზაციები, საქმიანობის შესრულების ვადები და ბიუჯეტი.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები პასუხობს სტრატეგიის 8 მიმართულებას და ქვეყნიშვნებს: „ცნობიერების ამაღლება და განათლება“ (4 მიზანი), „კულტურაზე წვდომა და კულტურული მრავალფეროვნება“ (4 მიზანი), „კულტურის და სხვა სფეროების ურთიერთმიმართება“ (2 მიზანი), „კულტურის დაფინანსება“ (2 მიზანი), „კულტურის ინფრასტრუქტურა და ახალი ტექნოლოგიები“ (2 მიზანი), „შემოქმედებითი ინდუსტრიები“ (2 მიზანი), „კულტურის ინტერნაციონალიზაცია“ (1 მიზანი), „კულტურის მმართველობის პრინციპები“ (2 მიზანი).

სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება

სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში შემუშავებულია საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს სტრატეგიული დაგეგმვის და მონიტორინგის სამსახურის მიერ, სამინისტროს სტრუქტურული ერთეულებისა და სხვადასხვა უწყებებიდან მონოლდებული ინფორმაციის საფუძველზე.

2017 წელს, მიმდინარე სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული 117 აქტივობიდან: სრულად შესრულდა - 83 აქტივობა (70%).

მეტწილად შესრულდა - 15 აქტივობა (13%)

ნაწილობრივ შესრულდა - 12 აქტივობა (10%).

იქიდან გამომდინარე, რომ სამოქმედო გეგმა არის 2 წლიანი, მეტწილად და ნაწილობრივ შესრულებული აქტივობების ნაწილი გრძელდება 2018 წელსაც და სრული სურათი 2018 წლის ბოლოს იქნება ასახული).

არ შესრულდა 7 (6%) აქტივობა - სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ მოხერხდა აქტივობის შესრულება, რაც შენიშვნების ველშია მითითებული.